„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლიდო ასათიანი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * სექტემბერი. 2021 * (7)74

2021 წლის 2 ოქტომბერი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დღეა!
იმედია ასპინძელები სწორ არჩევანს გააკეთებენ!

აქტუალური ინტერვიუ

კიდევ რამდენიმე კვირა და გაიმართება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის მომავალი განვითარების საქმეში. როგორც საქართველოს ყველა კუთხეში, ასპინძის მუნიციპალიტეტშიც დიდი სამზადისია და იმედს ვიტოვებთ, რომ იგი საარჩევნო კანონმდებლობის სრული დაცვით ჩატარდება.

როგორც ცნობილია, ასპინძის მერის მომავალ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად დარეგისტრირდა მხოლოდ ორი კანდიდატი, რაც ასპინძის სინამდვილეში იშვიათ მოვლენას წარმოადგენს, თუმცა არცაა გასაკვირი. მერობის ოცნების კანდიდატს – ამჟამად მოქმედ მერს როსტომ მაგრაქველიძეს საარჩევნო მარათონში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი გიორგი გიორგაძე დაუპირისპირდება.

მუნიციპალიტეტში მცხოვრები თითოეული ამომრჩეველი, ცხადია, გულისყურით ელის მომავალი არჩევნების შედეგებს და, რა თქმა უნდა, დიდი ინტერესსაც გამოხატავს ამ არჩევნების მიმართ. რა პლატფორმით წარსდგებიან თავიანთი ამომრჩევლის წინაშე მერობის ორივე კანდიდატი, გადავწყვიტეთ შევხვედროდით ორივე კანდიდატს, მათთვის დაგვესვა ერთი და იგივე შეკითხვა და მოგვესმინა მათი ხედვები თუ როგორ წარმოუდგენიათ მუნიციპალიტეტის შემდგომი განვითარება მათი მერად არჩევის შემთხვევაში.

ცხადია, ორივე კანდიდატისაგან ყველაფერზე ამომწურავ პასუხს ვერ მივიღებთ, მაგრამ მაინც შევეცადეთ მათგან ის პასუხები მიგვეღო, რაც ხელს შეუწყობს ამომრჩეველს სწორი არჩევანის გაკეთებაში:

კითხვა პირველი:
ბატონო მერობის კანდიდატო, ურიგო არ იქნება თუ ჩვენი გაზეთის საშუალებით გააცნობთ თქვენს ბიოგრაფიას ასპინძელ ამომრჩეველს.

კითხვა მეორე: როგორ წარმოგიდგენიათ მუნიციპალიტეტის განვითარების პერსპექტივები. პრობლემების მოგვარების რა გზას ხედავთ?

კითხვა მესამე: რა მიგაჩნიათ მუნიციპალიტეტის ძირითად პრობლემებად?

კითხვა მეოთხე: დაგვიკონკრეტეთ, თითოეულ ამ პრობლემის მოგვარებას როგორ აპირებთ?

კითხვა მეხუთე: დღეს ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ტურიზმია მიჩნეული. თქვენი მერად არჩევის შემთხვევაში რის გაკეთებას აპირებთ?

კითხვა მეექვსე: საარჩევნო ოლქში ძირითადი მიმართულება ყოველთვის იყო და არის სოფლის მეურნეობა. ნელ-ნელა, მაგრამ მაინც, მუნიციპალიტეტში ფეხს იკიდებს ფერმერული მეურნეობები. მისი განვითარების შემდგომი განვითარების მიზნით როგორ ხედავთ ამ საქმეში პირადად თქვენს როლს?

კითხვა მეშვიდე: ქვეყანაში ყოველთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს უმუშევართა დასაქმება, რის გამოც ხშირია მათი გადინება როგორც რესპუბლიკის დიდ ქალაქებში, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში. მცირედით მაინც რომ დავძლიოთ ეს პრობლემა, თქვენი აზრით, რისი გაკეთებაა შესაძლებელი?

კითხვა მერვე: როგორ წარმოგიდგენიათ თვითმმართველობის განვითარება თავისი პრინციპებით, როდესაც რიგი ადგილობრივი ორგანოები არაა მერიების პირდაპირ დაქვემდებარებაში, თქვენი აზრით ეს მათ დამოუკიდებელობაზე უარყოფით გავლენას ხომ არ ახდენს?

კითხვა მეცხრე: ფაქტია, მიმდინარე საარჩევნო კამპანია ქვეყანაში ვნებათაღელვის გარეშე არ ჩაივლის, გვინდა თუ არ გვინდა, როგორც არ უნდა სამართლიანად ჩატარდეს არჩევნები, კრიტიკა, ბრალდებები, მაინც იქნება. თქვენი მერად არჩევის შემთხვევაში, როგორ წარმოგიდგენიათ ოპოზიციასთან თქვენი ურთიერთთანამშრომლობა?

კითხვა მეათე: ცხადია, უშეცდომო ადამიანი არ არსებობს, მეტნაკლებად ნაკლოვანებები ყველას გაგვაჩნია. მთელი თქვენი მუშაობის მანძილზე თუ გქონიათ სამსახურეობრივი გადაცდომა, შეცდომები, რომელსაც დაუზარალებია როგორც კოლექტივის, ასევე თქვენი ავტორიტეტი, რა გაგიკეთებიათ იმისათვის, რომ ეს შეცდომები დაგეძლიათ. თანამშრომლების მიმართ მეტ სიმკაცრეს იჩენთ თუ შემწყნარებელ-მიმტევებელი ბრძანდებით?

კითხვა მეთერთმეტე: თქვენი მერად არჩევის შემთხვევაში, შეგიძლიათ თუ არა დამოუკიდებლად ინვესტიციების მოზიდვა?

კითხვა მეთორმეტე: თქვენი მუშაობის მანძილზე რა გაგიკეთებიათ ისეთი, რომ ამომრჩეველმა ირწმუნოს თქვენი შესაძლებლობა, რომ წარმატებით გაართმევთ თავს დაკისრებულ მოვალეობას მომავალი ოთხი წლის განმავლობაში?

კითხვა მეცამეტე: ცხადია, გუნდის გარეშე, დამოუკიდებლად გაგიჭირდებათ არჩევნებში მონაწილეობის მიღება. გრძნობთ თუ არა აქტიურ მხარდაჭერას იმ პარტიისაგან, რომლის სახესაც თქვენ წარმოადგენთ ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში?

კითხვა მეთოთხმეტე: თუ დასასმალი არაა, იქნებ წარმოგვიდგინოთ თქვენი მომავალი თვითმმართველი ორგანოს შემადგენლობა. ამომრჩეველმა უნდა იცოდეს, მერთან ერთად ვინ იქნება ის კონკრეტული სუბიექტები, რომლებიც მომავალ ე.წ. „კაბინეტს“ ჩაიბარებენ?

კითხვა მეთხუთმეტე: კიდევ რისი თქმა შეგიძლიათ და რა დაპირებას მისცემთ თქვენს ამომრჩეველს?

დაბოლოს: იმედს ვიტოვებთ, რომ მუნიციპალიტეტში არჩევნები მშვიდ გარემოში ჩატარდება და ახლადარჩეულ მერთან წლის ბოლომდე უსათუოდ მოგვინევს შეხვედრა. იმისაც გვჯერა, რომ ასპინძელი ამომრჩეველი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც სწორ არჩევანს გააკეთებს, როგორც ქვეყნის, ასევე მუნიციპალიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე.

როსტომ მაგრაქველიძე:

1. დავიბადე 1973 წლის პირველ ნოემბერს დაბა ასპინძაში. 1990 წელს წარჩინებით დავამთავრე ასპინძის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩავირიცხე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, რომლის დამთავრებიდან დღემდე ვმოღვაწეობ ასპინძის მუნიციპალიტეტში.

1995-96 წლებში ვმუშაობდი ასპინძის სამომხმარებლო კოოპერატივში საქონელმცოდნის თანამდებობაზე, 1997 წელს ამირჩიეს ამავე კოოპერატივის თავმჯდომარედ, რომელსაც ვხელმძღვანელობდი 2006 წლამდე. 2006 - 2017 წლებში ვიკავებდი N39 ასპინძის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომრის თანამდებობას. 2017 წლიდან დღემდე ვარ ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი. მყავს მეუღლე და ორი შვილი.

2. ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებას მრავალმხრივი პერსპექტივა გააჩნია, ეს არის ინფრასტრუქტურა, ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა, განათლება, ტურიზმი. რაც შეეხება მოგვარების გზებს, მინდა გითხრათ, რომ ხელისუფლების მიდგომები ამ პრიორიტეტების განვითარების მიმართ არის პრინციპული და მზარდი, რისი შედეგიც ისაა, რომ ნებისმიერი პრობლემური საკითხი წყდება ეტაპობრივად და თანმიმდევრობით.

3. ბოლო ათწლეულში ბევრი პრიორიტეტული საკითხი გადაიჭრა მოსახლეობის და მუნიციპალიტეტის განვითარების კუთხით. წარმატებით დასრულდა ყველა დაგეგმილი პროექტი სხვადასხვა მიმართულებით. მაგალითად, 2020 წელს მოვახდინეთ და სრულად სარგებლობს მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციული ერთეული მაღალმთიანი სტატუსით. მნიშვნელოვნად ამაღლდა მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის ასაკის ახალგაზრდების განათლებისათვის ხელშეწყობა, თანამედროვე ინფრასტრუქტურის მშენებლობა და კეთილმოწყობა. დასრულდა მუნიციპალიტეტის ცენტრიდან ყველა ადმინისტრაციულ ერთეულამდე დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობა, მოვახდინეთ სკოლებისა და ამბულატორიების სრული რეაბილიტაცია, აქტიურად მიმდინარეობს სასმელი წყლის მაგისტრალების და შიდა ქსელების მშენებლობა-რეაბილიტაცია და ა.შ. რაც შეეხება ძირითად პრობლემას, ესაა მოსახლეობის სრული გაზიფიცირება და ყველა ადმინისტრაციული ერთეულის ხარისხიანი სასმელი წყლით მომარაგება, რომელიც დასრულდება 2024 წელს.

4. 2020 წლიდან მუნიციპალიტეტის ხელმძღ-

დასასრული მე–2 გვ.

გიორგი გიორგაძე:

1. დავიბადე 1981 წელს ასპინძის რაიონის სოფელ საროში. დავამთავრე ასპინძის საშუალო სკოლა. 1998-2006 წლებში ვსწავლობდი საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში ენერგეტიკისა და ელექტროტექნიკის ფაკულტეტზე, 2000-2003 წლებში ვმუშაობდი ასპინძის ბავშვთა სახლში სამეურნეო ნაწილის გამგედ, 2003-2006 წლებში – არასამთავრობო ორგანიზაცია IFAD-ში მექანიზაციის უფროსად, 2008 წელს ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსად, 2009-2011 წლებში – შ.პ.ს „ლნ“ -ში გაზგამანაწილებელი ქსელის უფროსად, 2011-2013 წლებში – ასპინძის შ.პ.ს „კეთილმოწყობის სამსახურის" დირექტორად, 2013 წლიდან შ.პ.ს „ინტერგაზში" ასპინძის გაზგამანაწილებელი ქსელის უბნის უფროსად. 2014-2017 წლებში – ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ფრაქციის თავმჯდომარედ. 2017-2020 წლებში სს „საქენერგორემონტის“ ქვის სამსხვრევი საამქროს უფროსად. მყავს მეუღლე და სამი შვილი.

2. ასპინძის მუნიციპალიტეტს ყველას წარმოსახვის უნარი რომ ვერ გასწვდება განვითარების იმდენად დიდი უნარი აქვს, პრობლემების მოგვარების კი, გზა კი არა გზები არსებობს. ამის შესახებ დეტალურად არ ვისაუბრებ ჩემივე ოპონენტის ინტერესებიდან გამომდინარე, რადგან იმდენად დიდი გეგმებით მოვდივარ, რომ მინდა მასაც დავუთმო საგაზეთო სივრცე ტრადიციული დაპირებებისათვის. მე კი ჩვენი პარტიის დევიზს შეგახსენებთ – „საქმე ლაპარაკის ნაცვლად!"

3. მუნიციპალიტეტს იმდენი საჭირბოროტო პრობლემა აქვს, რომ მიუხედავად ამ საკითხებში ჩემი ღრმად ჩახედულობისა, მეც კი გამიჭირდება ძირითადის გამოყოფა. თუმცა იუმორს მოვიშველიებ და ამ პასუხს ჩასწორებული ანდაზით დავასრულებ „ქათამმა წყალი დალია და ღმერთს შესჩივლა – რა მღვრიე იყოო...„

4. მუხლჩაუხრელი შრომით და არა კაბინეტში ჯდომით...

5. უამრავი რამის, რისი დიდი და ნაყოფიერი ბაზაც გააჩნია მუნიციპალიტეტს და რაზედაც ფიქრში ღამეებიც გამითენებია, ეს ჩემი გეგმებია, რომელშიც ასპინძის მომავლის ჩემეული ვერსია სუნთქავს და ამაზე გარკვეული მოსაზრებების გამო ჯერ ღიად არ ვისაუბრებ.

6. ფერმერული მეურნეობების განვითარება მუნიციპალიტეტის ეკონომიკის გამყარების ძი-

დასასრული მე–2 გვ.

ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

ასპინძის საკრებულოს თავმჯდომარის მამუკა მელიქიძის ხელმძღვანელობით მუნიციპალიტეტში საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა.

საკრებულოს სხდომის ფარგლებში დეპუტატებმა, დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები განიხილეს:

1 ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების მოქალაქე ალ.სეთურიძისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემაზე, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე;

2 ასპინძის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და საპრივატიზაციო გეგმის დამტკიცების შესახებ.

დეპუტატებმა წარმოდგენილი საკითხები ხმათა უმრავლესობით დაამტკიცეს. რის შემდეგაც საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

იმედია ასპინძელები სწორ არჩევანს გააკეთებენ!

როსტომ მაგრაქველიძე:

პირველი გვერდიდან

ვანელობამ მივიღეთ გადაწყვეტილება დაგვეწყო მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით მომარაგების პროექტირება და მათი შესრულება. მაგალითად, ვუზრუნველვყავით სოფელ ხიზაბავრის, ვარგავის, საროს სასმელი წყლის მაგისტრალის სრული რეაბილიტაცია, რომელსაც მოჰყვა მ.წ. სოფელ ხიზაბავრის და სოფელ ნაქალაქევის სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია და სოფელ ტოლოშის სასმელი წყლის ახალი მაგისტრალის მშენებლობა, რომელმაც სოფლის წყალმომარაგებაში წყლის დამატებითი დებეტი შექმნა. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განვახორციელეთ სოფელ საროს, რუსთავის, ვარგავის, თოკის, ორგორის, საყუდაბელის და ივერიის სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის და შიდა ქსელების რეაბილიტაცია. რაც მთავარია, 2020 წელს დაიწყო და 2021 წელს დასრულდება უპრეცედენტო პროექტი – ასპინძის, ოშორის, იდუმალის და ოთის სასმელი წყლის მაგისტრალის სრული რეაბილიტაცია, რომლის შედეგადაც მიღწეული იქნება მოსახლეობის 24 საათიანი ხარისხიანი სასმელი წყლის მიწოდება. ასევე მომავალ წელს დაგეგმილია სოფელ ძველისა და ჭობარეთის სასმელი წყლის მაგისტრალის სრული რეაბილიტაცია. რაც შეეხება კითხვას – თუ როგორ ვაპირებთ ამ პრობლემის გადაჭრას, გიპასუხებთ, რომ ეს პროექტები ეტაპობრივად მიმდინარეობს და დასრულდება მომდევნო 4 წლის განმავლობაში.



5. გეთანხმებით, რომ ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტი ტურიზმია, რაშიც, ბოლო წლებია, ჩვენი მუნიციპალიტეტიც მისი მზარდი მაჩვენებლით გამოირჩევა. ასპინძა ხომ მუზეუმია ღია ცის ქვეშ, ვარძია კი საქართველოს სავიზიტო ბარათი ქვეყნის გარეთ. ამიტომაცაა, რომ ჯერ კიდევ 2018 წელს დაიწყო ხერთვისის ციხეზე, ვანის ქვაბებსა და ვარძიაში უამრავი ინფრასტრუქტურის მოწყობა, რამაც უფრო მიმზიდველი გახადა მუნიციპალიტეტი როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი დამთვალიერებლებისთვის. გარდა ამისა, არაერთი ახალი კერძო სასტუმრო და კვების ობიექტი გაიხსნა, სადაც დასაქმდა უამრავი ადამიანი. მიუხედავად მსოფლიო პანდემიისა, ტურიზმის განვითარების მიზნით, როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით, ადგილობრივ მუნიციპალიტეტშიც, ინტენსიურად იზრდება ტურისტული პოტენციალი, რაც იმითაც დასტურდება, რომ ამჟამადაც ხორციელდება რამდენიმე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პროექტის განხორციელებაში კი უშუალოდ ჩემი წვლილია შეტანილი, რაც, ცხადია, დიდ ჯაფასა და ენერგიას მოითხოვდა. უფრო მეტიც, ჩემი მერობის პერიოდში დაიწყო და დასრულდა საროს მესხური დარბაზებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის პროექტის მომზადება, რომლის ღირებულება 2.5 მილიონ ლარს შეადგენს. გვაქვს საუკეთესო ურთიერთობა და ერთობლივი მუშაობის გამოცდილება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან, რაც მნიშვნელოვნად გვიადვილებს საქმეს, რათა სწორად დაიგეგმოს და განვითარდეს ტურიზმი ჩვენს მუნიციპალიტეტში.

6. სოფლის მეურნეობა იყო და არის ძირითადი სფერო, რომელიც სისტემატურად ვითარდება და საიმედო პერსპექტივებიც გაჩნდა. აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად გვემატება ფერმერთა ახალ-ახალი ნაკადი, რომლებსაც მრავალ სერვისს ვთავაზობთ მთის რეგიონის შემდგომი განვითარებისათვის. ყოველგვარი ბარიერების გარეშე ვუზრუნველვყოფთ მათ გამართულ ფუნქციონირებას. დახმარება პირველ რიგში იმაშიც გამოიხატება, რომ ოპერატიულად და შეუფერხებლად, დროებით სარგებლობაში გადავცემთ როგორც სათიბ-საძოვრებზე, ასევე მშენებლობებზე შესაბამის ნებართვებს, რაც არც თუ ისე იშვიათია ამ ბოლო წლების მანძილზე. შესაბამისად, სპეციალისტთა დახმარებით, სათანადო კონსულტაციებსაც ვუწევთ დამწყებ ფერმერებს.

7. უმუშევრობას რაც შეეხება: ჩემი აზრით, მის დაძლევას შევძლებთ, თუ გვეყოლება მეტი კვალიფიციური, გამოცდილი და შრომისმოყვარე კადრი, ხელისუფლების მიერ აღებული საშინაო და საგარეო კურსი კი, სწორედ განათლების სისტემის განვითარებასა და აღმშენებლობაზეა დაფუძნებული. ასევე იმედს გვაძლევს ისიც, რომ მათი მიღწევები, სხვადასხვა სფეროში, ნამდვილად გამოიღებს შედეგს, – შეიქმნება ბევრი ახალი სამუშაო ადგილი და დასაქმდებიან შესაბამისი კვალიფიციური კადრები. პრაქტიკაში მაქვს და აქტიურად ვმონაწილეობ ბიზნეს წინადადებების განხილვებში, თუ როგორ უნდა დაეხმარო და ხელი შეუწყო ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, დაიწყოს და განავითაროს კერძო ბიზნესი, მაგალითად, – საჭირო დოკუმენტების განხილვა, საინვესტიციო ტერიტორიების (მიწების) გადაცემა, შესაბამისი სამშენებლო-საპროექტო დოკუმენტების შედგენა და მშენებლობებზე ნებართვების გაცემა.

მუნიციპალიტეტში მართლაც იმის დიდი რესურსია, რომ დაინტერესებულმა მხარემ სწორი არჩევანი გააკეთოს, – შესაბამისად დაგეგმოს თავისი მომავალი საქმიანობა, წარმოადგინოს ბიზნეს წინადადებები. პირადად მე, როგორც მერი და მერიასთან არსებული ყველა შესაბამისი უწყება, მზადყოფნას გამოვთქვამთ, მაქსიმალურად დავეხმაროთ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. მუნიციპალიტეტის შემადგენლობაშია სახელმწიფო საქვეუწყებო სტრუქტურები, რომლებიც არ არიან ადგილობრივი თვითმმართველობის დაქვემდებარებაში, მაგრამ ჩვენი მდგომარეობით და მათთან პარიტეტული მუშაობის პრინციპით საერთო შედეგებს, ხშირად, მაინც ვაღწევთ, თუმცა სასურველია მათი ნაწილი მართლაც იყოს მერიის დაქვემდებარებაში, ვინიდან ამ ეტაპზე ყველანაირი შესაძლებლობა და რესურსი გაგვაჩნია, ვმართოთ მსგავსი უწყებები, რაც მათ მუშაობას უფრო მოქნილს, ოპერატიულს და ადგილობრივ საჭიროებებზე ორიენტირებულს გახდის.

9. არჩევნებს რაც შეეხება, – მის მომზადებასა და ჩატარებაში დიდი გამოცდილება გამაჩნია, არჩევნები ჩემთვის ის პროცესია, რომელსაც, პირადად, შეჯიბრობითობას ვუწოდებ. მას თან ახლავს ისეთი ქმედებები, რომელიც წინასწარ ვერც იქნება გათვალისწინებული. ამიტომ ყველას მოვუწოდებ თავშეკავებისაკენ, კანონმორჩილებისაკენ და ამით მოიხადონ თავიანთი მოქალაქეობრივი ვალი. არჩევნების გამჭირვალედ, დემოკრატიულად და მშვიდ გარემოში ჩატარება ყველა ჩვენთაგანის ვალია. რაც შეეხება ჯანსაღ კრიტიკას, ეს დემოკრატიის თანმდევი პროცესია, თუმცა ბრალდებები სამართლიანი და ფაქტებზე დაფუძნებული უნდა იყოს. ჩემი მერად არჩევის შემთხვევაში კი ოპოზიციასთან ურთიერთობა ისეთივე მექნება, როგორიც აქამდე მქონდა. მათთან ყოველთვის ვიყავი და მომავალშიც ვიქნები კონსტრუქციული, სუბორდინაციული და სამართლიანი. ამის დამადასტურებელი უამრავი ფაქტი არსებობს, რაშიც დღევანდელი ოპოზიციაც დამეთანხმება. ჩვენ ერთი მუჭა ხალხი ვართ და ერთმანეთს უნდა ვუფრთხილდებოდეთ, რათა ერთად მოვუაროთ ჩვენს მუნიციპალიტეტს.

10. ბატონო ავთანდილ, უშეცდომო არავინაა. ნათქვამია: ,,ცხონდეს კაცი და არა სცოდოს“. საკუთარი თავის ქება არ მიყვარს, მაგრამ ნამდვილად საამაყოდ მაქვს საქმე, რომ, მიუხედავად ჩემი სხვადასხვა ხელმძღვანელ პოზიციებზე მუშაობისა, რაც ჯამში 25 წელს მოითვლის, არანაირი პრობლემა არ მქონია სამართალთან და არც არასდროს მიმიღია ისეთი გადაწყვეტილება, რომ ამით დაზარალებულიყო ჩემი თანამშრომლები და სამსახურის ინტერესები. იყო უწყების ხელმძღვანელი, ეს დიდი ტვირთი და პასუხისმგებლობაა. დიდ გამძლეობას და ენერგიას მოითხოვს ხელმძღვანელისაგან ისიც, რომ იყო სამართლიანი შენი თანამშრომლების მიმართ. სიმკაცრეს სამსახურში მე კანონმორჩილებას და მის შესაძლებლობას დავარქმევდი. ჩემი უპირველესი ვალია თანამშრომლების თანაბარპირობებში ჩაყენება. სამსახურის საათებში რანგირება და პრივილეგირება დამაზიანებელია საერთო ინსტიტუტებისთვის. ხოლო თუ როგორი ხელმძღვანელი ვარ, მასზე ჩემმა თანამშრომლებმა ისაუბრონ და მათვე გააკეთონ დასკვნები.

11. სახელმწიფო და კერძო სექტორის აქტიური ჩართვა პროცესებში, ქვეყნის აღმშენებლობისა და განვითარების საწინდარია. 10 წლის მანძილზე გამოყოფილი უპრეცედენტო რაოდენობის ფინანსური სახსრები კი თითოეული ჩვენთაგანის კეთილდღეობას მოხმარდა, მათ შორის: ჯანდაცვის და განათლების მიმართულებასა და მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებულ უამრავ პროექტს; „მთის ფონდის“ ფარგლებში და ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებულ პროექტებს; ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამას,“ რომელიც ამ ბოლო წლებში აღდგა და წარმატებით ხორციელდება სოფლად მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებების მოსაგვარებლად. ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ ჩამონათვალისა, რომლის ინვესტირება სახეზეა და რომელიც ჩვენმა მოქალაქეებმა მიიღეს. თუმცა არ გამოვრიცხავ ჩემ პირად თუ სახელმწიფო დონეზე იმ ურთიერთობებს, რომლებიც ნებისმიერ დროს იქნება გამოყენებული დამოუკიდებელი ინვესტიციების მოზიდვის მიზნით. მაგ.: შემოთავაზებები გვაქვს სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით, ასპინძას გააჩნია ტერიტორიული პოტენციალი იმისა, რომ ჩაიდოს ინვესტიციები, რაც სწრაფ შედეგს მოგვცემს სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში. ასევე გვაქვს ბევრი საინტერესო შემოთავაზება, რაც კერძო სექტორსაც გააააქტიურებს და ახალ სამუშაო ადგილებსაც შექმნის.

12. ზემოთაც აღვნიშნე, – პირად წარმატებებზე ბევრს ვერ ვისაუბრებ, მაგრამ კარგად ვიცნობ ჩემს ასპინძელებს, რომელთა სიყვარულს, პატივისცემას და მხარდაჭერას ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობ. ვისარგებლებ შემთხვევით და თითოეულ მათგანს კიდევ ერთხელ მოვუხდი ამისათვის გულწრფელ მადლობას. რაც შეეხება ჩემს გაკეთებულ საქმეებს, ეს ნამდვილად არ დარჩება დაუნახავი და შეუფასებელი – 3-ჯერ გაზრდილი ბიუჯეტი, დამატებით შექმნილი სამუშაო ადგილები, მომატებული ხელფასები, ბაღები, სკოლები, გზები, სასმელი და სარწყავი სისტემები, პარკები და სკვერები, ქუჩები და ტროტუარები, ახალი შენობები (საზოგადოებრივი ცენტრის და 112-ის შენობა), გარეგანათებები, სპორტული მოედნები და ბევრი უამრავი სიკეთე, რაც მე ჩემ გუნდთან ერთად შევქმენი, იმედს მაძლევს, რომ შემწევს იმის ენერგია, ცოდნა, გამოცდილება და დიდი სურვილი, კიდევ ბევრი სასიკეთო საქმე გავაკეთო ჩემი საყვარელი მუნიციპალიტეტისა და ქვეყნისათვის.

13. გუნდურობა, ერთად მიღებული გადაწყვეტილებები, აზრთა სხვადასხვაობით მიღწეული წარმატებები, ერთმანეთის პატივისცემა, დაკისრებული მოვალეობის ხარისხიანად შესრულება, ჩვენი ქვეყნის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე დაფუძნებული პრიორიტეტების დანერგვა და შესრულება, შედეგია იმისა, რომ ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოდან“ მაქვს პატივი, მეორე ვადით ვიყარო კენჭი თვითმმართველობის არჩევნებში ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის თანამდებობაზე და იმედსაც ვიტოვებ, მოსახლეობის დიდი ნაწილის მხარდაჭერით არჩეული ვიყო მუნიციპალიტეტის მერად.

14. სიამოვნებით წარმოგიდგენთ მერიაში დასაქმებულ პროფესიონალთა შემადგენლობას, რომელთა დამსახურება უდიდესია მუნიციპალიტეტის განვითარების საქმეში. მათი გამოცდილება, პატიოსნება და კეთილსინდისიერება მეტყველებს იმაზე, რომ ე.წ. ,,კაბინეტი“ შემდგარია. ბევრს მივაღწიეთ ერთმანეთის თანადგომით, საქმის ერთგულებით და გარწმუნებთ, მათთან ერთად კიდევ ბევრი სიკეთის მოტანა შეგვიძლია ჩვენი მოსახლეობის საკეთილდღეოდ. აქვე დავძენ, – განათლებული და გამოცდილი კადრების მოზიდვას ყოველთვის მივესალმები.

15. თითოეულ ამომრჩეველს ვპირდები: ჩემ განათლებასა და გამოცდილებას ყოველთვის მოვახმარ მათ და ასპინძისა და ასპინძელებისათვის ბოლომდე დავიხარჯები.

16. ასპინძას დიდი გამოცდილება აქვს არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში, ამიტომ იმედს ვიტოვებ, რომ არც ეს არჩევნები იქნება გამონაკლისი და იგი ჩატარდება გამჭვირვალედ, დემოკრატიულ და თანაბარ პირობებში. ამასთან მჯერა და მწამს ჩვენი ამომრჩევლის კეთილგონიერების, წინდახედულების და ერთგულების. ისინი ნამდვილად სწორ არჩევანს გააკეთებენ. ასპინძა აუცილებლად გაიმარჯვებს!

გიორგი გიორგაძე:

პირველი გვერდიდან

რითადი ხერხემალია, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ამ საკითხებზე უნდა გამახვილდეს. აუცილებელია მექანიზაციის ბაზის შექმნა. უდავოდ უნდა დავეხმაროთ მოსახლეობას მათ სარგებლობაში არსებული საკარგულების დაკანონებაში, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა, სანერგე და სათესლე მეურნეობების ჩამოყალიბება. არსებული მელიორაციის სისტემის შეკეთება-განახლება თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით, ისევ უნდა აღორძინდეს მეფრინველეობა-მეკურდღლეობა და ა. შ. თუ რას როგორ მოვაგვარებთ, ესეც ჩემი გეგმებისა და იდეების ნაწილია და ამჟამად არც ამაზე ვისაუბრებ...

7. ამ პრობლემის მოგვარება ისეთი პატარა მუნიციპალიტეტისათვის როგორიც ასპინძაა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სამწუხარო რეალობაა, რომ რაიონიდან იმ ასაკის ახალგაზრდობის გადინება მოხდა, რომელთაგანაც ქვეყანას ახალი თაობა უნდა მიეღო, ამ სახით ჩვენ აუნაზღაურებელი დანაკლისი გვაქვს... ამ მხრივ უფრო ნაკლებად დავზარალდებოდით მეტი ხელშეწყობა რომ ჰქონოდა ახალგაზრდობას მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მხრიდან.თითოეული სოფლისთვის სათანადო დახმარება რომ გაეწიათ სოფლის მეურნეობის წელში გასამართად, გნებავთ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, გნებავთ მელიორაციის გამართვა-მოწესრიგების თვალსაზრისით, ეს მნიშვნელოვნად შეცვლიდა არსებულ სურათს და ამ დამაზიანებელ პროცესს სასიკეთოდ დაამუხრუჭებდა. აუცილებელია ხელშეწყობა დამწყებ ფერმერთათვის, წვდომა საშეღავათო კრედიტებზე და გრანტების სწორად წარმართვა...

8. მოკლედ მოვჭრი. დიახ, უარყოფითად აისახება...

9. აუცილებლად ვითანამშრომლებ მათთან, ყოველთვის ობიექტურად განვიხილავ საწინააღმდეგო მხრიდან წამოსულ კრიტიკულ მოსაზრებებს, ყოველთვის შევალ მათთან პოლემიკასა და დებატებში, რადგან კრიტიკული აზრისადმი ჯანსაღი მიდგომა უფრო გაფხიზლებს და გაძლიერებს.

10. თავადაც ბრძანეთ, უშეცდომო ადამიანი არ არსებობს, რა სამსახურებრივ პოზიციაზეც არ უნდა ვყოფილიყავი, ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯებოდი, ბოლომდე ვდებდი სულსა და გულს საქმეში, არასოდეს ბოროტად არ გამომიყენებია ჩემი თანამდებობრივი უპირატესობა, როცა საჭიროება მოითხოვდა ჩემი თანამშრომლების მხარდამხარ ვმდგარვარ ბარით და ნიჩბით, მუხლებამდე ამოსვრილი... ალბათ, შეცდომებიც იქნებოდა, მაგრამ არა ისეთი, ჩემი ან კოლექტივის იმიჯი რომ დაეზიანებინა. რაც შეეხება სიმკაცრე-შემწყნარებლობას, ეს თვით შექმნილ გარემოებაზეა დამოკიდებული, ამის სტერეოტიპი არ არსებობს

11. დიახ, და ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული...

12. ჩემი შრომითი ბიოგრაფია უკვე 21 წელს ითვლის და თუ ვინმე დაინტერესდება, თვალის ერთი გადავლებითაც ადვილად შეიმჩნევა მუნიციპალიტეტისათვის ჩემ მიერ დაჩნეული კვალი, მაგრამ რომ გეკითხათ, თქვენი შრომის რომელი ნაყოფით უფრო ამაყობთო, გიპასუხებდით – ახალციხე-ასპინძის საზღვარზე მდგარი ნიშით-მეთქი, ჩათვალეთ რომ მე ამ პატარა ციხის ერთ-ერთი მეციხოვნე ვარ!

13. უდავოდ.

14. ჩემი აზრით, მერის მხარდამხარ მხოლოდ ერთგული, ენერგიული და საქმისმცოდნე ადამიანები უნდა იდგნენ, უსათუოდ უნდა შეიქმნას ახალგაზრდული გუნდი, რომლებიც გზადაგზა ჩამოყალიბდებიან იმ საიმედო კადრებად, რომელთა ხელშიც შემდგომ გადაინაცვლებს მუნიციპალიტეტის მმართველობის სადავეები

15. არ მიყვარს სიტყვა დაპირება, არაფერს დავპირდები დაპირებებით დაღლილ ხალხს, მხოლოდ ერთს ვიტყვი:

ჩემო ასპინძელებო!

მეც ერთ-ერთი თქვენგანი ვარ, ფსკერიდან ზედაპირამდე ვიცნობ ყველა იმ პრობლემას და სატკივარს, რაც ყველას გვაწუხებს, ამიტომაც მოვდივარ ახალგაზრდული ენერგიით, ცოდნით, გამოცდილებით, ბევრის კეთების მიზნით და შესაძლებლობით და, რაც მთავარია, ასპინძისადმი უზომო სიყვარულით... უბრალოდ გეტყვით:

თქვენთან ერთად გავიხარებ იმით, რაც თქვენ გაგახარებთ!

დამამწუხრებს ის, რაც თქვენ დაგამწუხრებთ!

ბედნიერი ვიქნები მაშინ, როცა ჩავთვლი, რომ ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი დავდე!

ერთმანეთის იმედი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა!

გამარჯვებამდე, მეგობრებო!

ინტერვიუს უძღვებოდა

ავთანდილ გერიძე

კოვიდ-პანდემია და ვაქცინაცია

მსოფლიოში კვლავ მძვინვარებს კორონა ვირუსის პანდემია-ეპიდემია, რომელმაც ბევრი ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა შეიწირა. ჩვენს ქვეყანაში ნახევარ მილიონზე მეტი დადასტურებული შემთხვევაა დაფიქსირებული, 7 000-ზე მეტი – გარდაიცვალა. ასპინძის მუნიციპალიტეტში დღეის მონაცემებით, 657 დადასტურებული შემთხვევაა აღრიცხული, გამოჯანმრთელდა 558 პირი, გარდაიცვალა – 8 (მ.შ. 2021 წელს – 3). აქტიური შემთხვევების რაოდენობა – 91, თვითიზოლაციაშია –93 კონტაქტირებული პირი.

ჩვენი ქვეყანა აქტიურად ებრძვის კორონა ვირუსით გამოწვეულ ეპიდემიას. ამჟამად, ე.წ. მეოთხე ტალღის პიკზე ვიმყოფებით. დატვირთულია როგორც ეპიდემიოლოგიური, ასევე, ჰოსპიტალური, ამბულატორიული და გადაუდებელი დახმარების რესურსი. თუმცა, გასულ პერიოდთან შედარებით, ახლა მეტი ბრძოლის საშუალება გაგვაჩნია – ესაა ვაქცინაცია, რომელიც ყოველდღიურად აქტიურდება და სულ უფრო მეტი და მეტი ადამიანი გამოთქვამს აცრის სურვილს.

COVID-19 (SARSCOV-2) ვირუსი თავისი ბუნებით, მუტაგენურია და დღემდე არა ერთი აგრესიული შტამის სახით გვევლინება. ბოლო დროს ცნობადი გახდა ე.წ. დელტა შტამი, რომელიც მეტად გავრცელებადია, მაღალი გადამდებლობა ახასიათებს, განსაკუთრებით ბავშვებს აზიანებს და მძიმე ფორმით მიმდინარებს, საუბარია უკვე ახალ ლამბდა და იოტა შტამებზეც.

დღესდღეობით, კოვიდსაწინააღმდეგო ვაქცინაცია არის ყველაზე საუკეთესო საშუალება ინფექციის გავრცელების, მძიმე და გართულებებით მიმდინარე, განსაკუთრებით კი ლეტალური გამოსავლის მქონე შემთხვევების წინააღმდეგ. ადამიანებს აქვთ საკმარისი არჩევანი ვაქცინების, ასევე, აქვთ საშუალება წინასწარ, სასურველ დროსა და სასურველ კლინიკაში (ამცრელ დაწესებულებაში) დაჯავშნონ ელექტრონულად აცრა, ანდა, გამოიყენონ ე.წ. „ვირტუალური ოთახი“, ანუ, ამცრელ დაწესებულებაში ვიზიტთან ერთად ვაქცინის დოზაც მიიღონ. ქვეყანაში 4 სხვადასხვა ვაქცინით ხდება ადმინისტრირება, ესენია: ასტრაზენეკა, ფაიზერი, სინოფარმი და სინოვაკი. ყველა მათგანი არის ავტორიზებული ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ როგორც გადაუდებელი გამოყენების საშუალება, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ კონკრეტულ დროს აღნიშნული ვაქცინების შესაძლო გვერდითი მოვლენები კატასტროფულად უფრო ნაკლებია და ითვლებიან ერთ-ერთ ყველაზე უსაფრთხო ვაქცინებად, ანუ, ამ შემთხვევაში, სარგებელი ბევრად ჭარბობს უვაქცინობით გამოწვეულ ზარალს. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სულ ცოტა ხნის წინ ფაიზერის ვაქცინამ უკვე წამლის სააგენტოს ავტორიზაციაც მიიღო.

ეს ვაქცინები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც წარმოების ტექნოლოგიით, ასევე, მოქმედების მექანიზმით, თუმცა, ყველა მათგანი უზრუნველყოფს ანტისხეულების წარმოქმნას ორგანიზმში და ამ სახით იმუნიტეტის გარკვეული ხნის განმავლობაში ჩამოყალიბებას. იმუნიტეტი აცრიდან დაახლოებით 2 კვირის განმავლობაში ყალიბდება. ვაქცინირებული პირი შესაძლოა დაინფიცირდეს კოვიდ-19 ვირუსით, მაგრამ მაღალ პროცენტში იგი დაავადებას მსუბუქად გადაიტანს და ლეტალური გამოსავლისგანაც იქნება დაცული. ცხადია, ეს არ არის საუკეთესო საბრძოლო იარაღი, მაგრამ, დღესდღეობით, სხვა ალტერნატივა არ არსებობს! ამიტომ მოკლე დროში ვაქცინირებულთა ხარჯზე იმუნური ფენის (დაახლოებით, მოზრდილი მოსახლეობის 70% და მეტი) შექმნა, გაგვამარჯვებინებს ეპიდემიასთან ბრძოლაში. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს რამდენად აქტუალურია სამედიცინო ნიღბის გამოყენება და სოციალური დისტანციის დაცვა. ამ წესებით მოგვიწევს ამ პერიოდში ცხოვრება და ჩვენი ადამიანური როლების შესრულება. ჩვენს დღევანდელობაში შეზღუდვები არც თუ ისე მკაცრია ჩვენ ხომ გასულ ტალღებში უფრო მეტი სიმკაცრე ვნახეთ, მაგრამ ადამიანებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისი სოციალური პასუხისმგებლობა, რომ ინფიცირებულები იმყოფებოდნენ იზოლაციაში, არ უნდა გადაადგილდებოდნენ თვითნებურად და დაუცველად, რათა საფრთხე არ შეუქმნან საზოგადოების ჯანმრთელ ნაწილს. ასევე, დადასტურებული შემთხვევის კონტაქტში მყოფი პირები მკაცრად უნდა იცავდნენ თვითიზოლაციის წესებს, რადგან ისინიც არანაკლებ საფრთხეს წარმოადგენენ ჯანმრთელი ადამიანებისათვის კორონა ვირუსული დაავადების მიმდინარებიდან გამომდინარე.

დღევანდელი მონაცემებით, საქართველოში 1 მილიონ 200 ათასზე მეტი აცრაა ჩატარებული, სრულად (2 დოზით) ვაქცინირებულია 380 ათასზე მეტი ადამიანი, ყოველდღიურად აცრილთა რაოდენობა პროპორციულად მზარდია. თუმცა, ეს მონაცემი ჯერ კიდევ შორსაა მიზნობრივი გეგმისაგან – აიცრას მოზრდილი მოსახლეობის 70%-ზე მეტი.

ჩვენს რეგიონში უკვე 19 ათასზე მეტი აცრაა ჩატარებული. ასპინძის მუნიციპალიტეტში – 1158 აცრა სამი სახის ვაქცინით (ფაიზერი, სინოფარმი და სინოვაკი). ყოველდღიურად აცრილთა რიცხვი მზარდია და ამ დროისათვის საშუალოდ, 45-55- ს შეადგენს. აცრილ პირებში იმუნიზაციის შედეგად განვითარებული არასასურველი მოვლენა (იშგამ) დღემდე არ დაფიქსირებულა. რაც შეეხება აცრის შემდგომ განვითარებულ ლოკალურ ან სისტემურ მოვლენებს, ზოგჯერ აღენიშნევათ თავის ტკივილი, ინექციის ადგილის, კუნთების ან სახსრების ტკივილი, შედარებით იშვიათად – სიცხე, შემცივნება, დაღლილობა და ა.შ., რომლებიც 1-დან 3 დღეში თავისით გადის.

ამჟამად მუნიციპალიტეტში აქტიურად და ორგანიზებულად მიმდინარეობს პედაგოგების იმუნიზაცია, – სკოლების პერსონალის 47% უკვე აცრილია.

ვაქცინაციის პარალელურად აქტიურად მიმდინარეობს მასობრივი ტესტირება სწრაფი ანტიგენტესტისა და „პჯრ ტესტირების“ სახით როგორც ასპინძის „ევექსის“ კლინიკაში, ასევე, აიპ ასპინძის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში, ეს უკანასკნელი სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებული (საქართველოს მთავრობის N 975 განკარგულებით განსაზღვრულ) პირების და სამიზნე ჯგუფების ტესტირებას ახორციელებს ადგილობრივი მერიის მიერ სპეციალურად გამოყოფილ ტესტირების ცენტრში. მიზნობრივი ჯგუფების ტესტირების გზით ხდება პოზიტიური შემთხვევების აქტიური გამოვლენა და გავრცელების ჯაჭვის, შეძლებისდაგვარად, განყვეტა.

პანდემია-ეპიდემიასთან ბრძოლა გრძელდება და ამ ბრძოლის საუკეთესო და ხელსაყრელი იარაღი დღეს, როგორც არაერთხელ ითქვა – კოვიდსაწინააღმდეგო იმუნიზაცია, პირბადის გამოყენება და დისტანცირებაა.

მზია პაპაშვილი,
ასპინძის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური ცენტრის დირექტორი
01.09.2021.

უნიკალური აღმოჩენა ჭობარეთში

ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭობარეთთან, ე.წ. „სატიკნეს“ გორაზე არქეოლოგებმა ადრე ბრინჯაოს, გვიან ბრინჯაოს, რკინის ხანისა და შუა საუკუნეების ტერასულ ნამოსახლარზე ტერასული ტიპის დასახლება და მასზე გამართული ქვის ნაგებობები აღმოაჩინეს.

ადრე ბრინჯაოს ხანის ნასახლარი 2008 წელს, ასპინძა-ახალციხის მაგისტრალური გაზსადენის გაყვანის დროს აღმოჩნდა, რის შედეგადაც შესწავლილი იქნა ადრე ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი, სამაროვანი, გვიან ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის და შუა საუკუნეების ნამოსახლარების ნაშთები.

ქრისტეშობამდე 3500-3000 წლის წინანდელი ნასახლარის არქეოლოგიური კვლევა 2012 წელს საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა და მელბურნის უნივერსიტეტმა არქეოლოგების – **კახი კახიანისა** და **ანტონიო საგონას** ხელმძღვანელობით ერთობლივად დაიწყეს.

არქეოლოგიური კვლევები და სამუშაოები, ყოველწლიურად, სეზონურად, 2009 წლიდან მიმდინარეობს. არქეოლოგიურ სამუშაოებში მონაწილეობას ავსტრალიის, საფრანგეთის, მელბურნისა და თსუ უნივერსიტეტის სტუდენტები ღებულობენ.

საქართველოს მასშტაბით ჭობარეთის ადრე ბრინჯაოს ხანის ტერასული ნამოსახლარი ამ დროის ერთ-ერთი დიდი და უნიკალური დასახლებაა, თავისი ქვის არქიტექტურითა და არქეოლოგიური მასალით.

დღევანდელი არასრული მონაცემებით, მისი სიგრძე დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე 450 მეტრია, ხოლო, სამხრეთ-ჩრდილოეთის ხაზზე – 250 მეტრი.

არქეოლოგემა გამოავლინეს მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი დიდი რაოდენობის, მრავალფეროვანი თიხის ჭურჭელი, ქვის უძველესი ხელსაფქვავები და ლითონის ჩამოსასხმელი თიხის ყალიბი, ასევე ნამოსახლარზე სხვადასხვა სახის, მრავალფეროვანი კერამიკული ნაწარმია აღმოჩენილი; მათ შორის, ჭურჭლის რამდენიმე ფორმა და შემკობა, რელიეფური და ამოღარული სახეებით – მათზე გამოსახული ფრინველები, ცხოველები, აბსტრაქტული არსებები, სპირალები. აღმოჩენა უნიკალურია არამარტო საქართველოსთვის, არამედ ადრე ბრინჯაოს ხანის ტრანსკავკასიური კულტურის გავრცელების მთელი არეალისათვის და წარმოადგენს იმდროინდელი მხატვრული და გრაფიკული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს. გარდა ჭურჭლისა, ნაგებობებში ნაპოვნია თიხის წრიული, ფართობორტიანი კერები და სხვადასხვაგვარი სადგრები, რომელთა ნაწილი ნალისებრი ფორმისაა, ხოლო ერთი მათგანი ხარის ქანდაკებას წარმოადგენს, რაც იმდროინდელი მხატვრული და გრაფიკული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშია.

მიმდინარე არქეოლოგიური კვლევები ცხადყოფს, რომ სოფელ ჭობარეთში განვითარებული ყოფილა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. ამის დამადასტურებელია 5300 წლის წინანდელი ოთხი ჯიშის ხორბლის მარცვლის, პალინოლოგიური მტვრის, ხელსაფქვავების, მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის ძვლების აღმოჩენა. ასევე, ნაპოვნია სპილენძის ჩამოსასხმელი ყალიბი და ნივთები, რომელიც მეტყველებს იმდროინდელი კულტურისა და ლითონის დამუშავების შესახებ.

მიმდინარე წელი ყველაზე წარმატებულია არქეოლოგიური კვლევების ნამოსახლარის გავრცელების და არქიტექტურული გეგმარების შესწავლის მხრივ. ერთ-ერთ ტერასაზე, ადრე ბრინჯაოს ხანის, 5300 წლის წინანდელი, შვიდი ნაგებობა იქნა გამოვლენილი. ერთ-ერთ მათგანში, რომელიც სხვა ნაგებობებთან შედარებით მცირე ზომისაა, იატაკის დონეზე უკვე აღმოჩნდა თიხის 19 ჭურჭელი. ამდენად, ზომით უფრო დიდ სხვა ნაგებობებშიც, არანაკლებ უნიკალური აღმოჩენებია მოსალოდნელი.

ძეგლზე მდებარე მეორე ბორცვის დასავლეთ კიდესთან აღმოაჩინეს ყორღანული სამარხი. ქვაყრილში – ბედენური კულტურის (ქრისტეს შობამდე 25-ე საუკუნე) ორნამენტიანი კერამიკა.

აღნიშნული პერიოდის ყორღანული სამარხის აღმოჩენა მესხეთში პირველი შემთხვევაა. ჭობარეთის ადრე ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი თავისი დროის ერთ-ერთი დიდი და მნიშვნელოვანი ძეგლია, რაც ასევე დასტურდება ჯეროვანი საერთაშორისო სამეცნიერო გამოხმაურებითა და ძეგლისადმი არსებული ინტერესით.

არქეოლოგიური კვლევები მომავალ წლებშიც გაგრძელდება.

დაბა მაღე შეიცვლის იერსახეს

რაც დრო გადის, დღითიდღე მშვენდება და ლამაზდება როგორც დაბა ასპინძა, ასევე მუნიციპალიტეტის სოფლები და დასახლებული პუნქტები. თუ თვალს გადავავლებთ უკანასკნელი რამდენიმე წლის მონაცემებს, აშკარაა რამდენი სასიკეთო ცვლილება ხდება მუნიციპალიტეტის ინფრასტუქტურის განვითარებაში და ეს არცაა გასაკვირი, რადგან მუნიციპალიტეტის მერიის სწორმა და შედეგებზე ორიენტირებულმა მენეჯმენტმა არაერთი სასიკეთო შედეგი დადო მოსახლეობის სასიკეთოდ, განსაკუთრებით იცვლის სახეს დაბის ცენტრალური ნაწილი, რაც ტურიზმის განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესია.

როგორც მოსახლეობის ფართო ფენებისთვის კარგადაა ცნობილი, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით და ხელშეწყობით უკანასკნელ ხანს დაიწყო და ხორციელდება სახელმწიფო პროგრამა – „განახლებული რეგიონები“. აღნიშნული პროექტის ფარგლებში რამდენიმე კვირაა ასპინძის ომის მემორიალის კომპლექსის მიმდებარედ ინტენსიურად მიმდინარეობს მისი ინფრასტრუქტურის და ე.წ. სამკუთხა სკვერის რეაბილიტაცია.

პროგრამის ფარგლებში, კეთილმოეწყობა შოთა რუსთაველის ძეგლის კვარცხლბეკი, საყრდენი და დეკორატიული კედლები, სამკუთხა სკვერის სათამაშო მოედნებზე დაიგება კაუჩუკის ფილები, საფეხმავლო ბილიკები, სკამები, კიბეები, განათება, გამწვანდება სკვერის მთელი ტერიტორია.

ომის მემორიალის მიმდებარე ტერიტორიაზე ტროტუარებსა და სანიაღვრე არხებს ჩაუტარდება სრული რეაბილიტაცია.

აღნიშნული პროქტის დასრულება მიმდინარე წლის ბოლომდეა ნავარაუდევი, რაც დიდი საჩუქარი იქნება დაბის მოსახლეობისათვის.

8 აგვისტოს მიეძღვნა

დაბა ასპინძის გართობისა და დასვენების სამკუთხა პარკში ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ლევან ბერიძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა მელიქიძემ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს და ომში დაღუპული გმირების ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს.

გარდაცვლილთა სულების მოსახსენიებლად პანაშვიდი გადაიხადა ასპინძის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურმა მამა დავითმა.

პანაშვიდის დასრულების შემდეგ ასპინძის კულტურის ცენტრის ფოლკლორულმა ანსამბლმა ,,წუნდამ" საგალობელი შეასრულა.

აღნიშნულ ღონისძიებაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა მელიქიძემ 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მიზნობრივი ,,მოქალაქეთა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამის" ფარგლებში ერთჯერადი ფულადი ჯილდო გადასცა საქართველოს მთლიანობისათვის დაღუპულ 8 ოჯახს და ქვეყნის ტერიტორიაზე მებრძოლი ომისა და სამხედრო ძალების, შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე 9 ვეტერანს.

ცოტნეობა დამალაში

12 აგვისტოს, მართლმადიდებლური ეკლესია ქართველი წმინდანის ცოტნე დადიანის ხსენების დღეს აღნიშნავს, რომელიც დამკვიდრდა 1999 წლიდან.

ასპინძასთან დაკავშირებულმა არაერთმა მოვლენამ უკვდავყო ასპინძის სახელი. საილუსტრაციოდ ისიც კი კმარა, რომ მასთანაა დაკავშირებული ერეკლე მეორის ის გმირული ეპოპეა, რომელიც ასპინძის ომითაა ცნობილი საქართველოს ისტორიაში, ხოლო ქართველი ერის ერთიანობის სიმბოლოდ იქცა ცოტნე დადიანის ქმედება, რომელმაც ქართველი ერი უდიდესი განსაცდელისაგან იხსნა და დიდების შარავანდედით შემოსა მისი სახელი. სწორედ ამ დღესასწაულთან დაკავშირებით სოფელ დამალაში, კოხტას ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე, „ცოტნეობის" სახალხო დღესასწაული გაიმართა.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ დამსწრე საზოგადოებას მიულოცა ,,ცოტნეობა", ხოლო ასპინძის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მღვდელმსახურმა მამა ზაქარიამ პარაკლისი აღავლინა.

„ცოტნეობის" დღესასწაულისადმი მიძღვნილ ღონისძიებას მოსახლეობასთან ერთად ადგილობრივი ხელისუფლების და ა(ა)იპ ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება – კულტურის ცენტრის წარმომადგენლები დაესწრნენ.

მემორიალი ყვავილებით შეამკეს

8 აგვისტოს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ლევან ბერიძემ, საკრებულოს თავჯდომარემ მამუკა მელიქიძემ და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების წარმომადგენლებმა ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ მირაშხანში, 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს თავისუფლებისათვის დაღუპული გმირი ტარიელ ქამაშიძე გაიხსენეს და მისი სახელობის მემორიალი ყვავილებით შეამკეს.

მემორიალთან ტარიელ ქამაშიძის ოჯახის წევრებიც იმყოფებოდნენ.

13 წლის წინანდელ ომს 400-ზე მეტი სამოქალაქო და სამხედრო პირის სიცოცხლე ემსხვერპლა. საქართველოში რუსული ინტერვენციის შედეგად დაიღუპა 228 მშვიდობიანი მოქალაქე, 14 პოლიციელი, თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით სულ დაღუპულად 170 სამხედრო მიიჩნევა, აქედან ხუთი უგზო-უკვლოდ დაკარგულია, 1 747 კი მძიმედ დაიჭრა.

დამთავრდა საყრდენი კედლების მშენებლობა

ყოფილა დრო, როცა მუნიციპალიტეტის მასშტაბით მცირე, მაგრამ თვალშისაცემი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდებოდა და მოსახლეობის დიდ კმაყოფილებას იწვევდა, თუმცა სულ მოკლე ხანში იგი ხელმეორედ გასაკეთებელი ხდებოდა. ჩვენ თავს ამჯერად არ მივცემთ იმის უფლებას თითოეულ მათგანზე ვილაპარაკოთ, რადგან მოსახლეობას კარგად ახსოვს უახლესი წარსული.

ჩვენი გაზეთის ყველა ნომერში ფართოდ ვაშუქებთ ყველა იმ ფაქტსა თუ მოვლენას, რომელიც მუნიციპალიტეტის სინამდვილეში ხდება. ამჯერად კი ჩვენს ერთგულ მკითხველს გვინდა ვაუწყოთ, რომ ახლახან დასრულდა 2021 წლის 2 ივნისს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერით (N210009830) გათვალისწინებული სამუშაოები: დაბა ასპინძაში 9 აპრილის ქუჩის დასაწყისში, ბესიკის, გოგებაშვილის, ვაჟა-ფშაველას, ტაბიძის, ფალიაშვილის ქუჩებზე და სოფელ ოშორაში 450 მეტრზე გზის დამცავი საყრდენი კედლების მშენებლობა.

აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს გზების გასწვრივ მიწის ჩამოშლისა და გზის დაზიანების საფრთხეების თავიდან აცილებას.

სასკოლო ცხოვრება

დიდი სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა კარგად ხედავს თუ როგორ ინტენსიურად მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებში ინფრასტუქტურული

პროექტების განხორციელება. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილ ხარჯებს, თითქმის სამმაგად აჭარბებს ინფრასტურქტურულ პროექტებზე გაწეული ხარჯები, რაც იშვიათი შემთხვევაა მთელ რეგიონში. საილუსტრაციოდ ეს ფაქტიც კმარა:

როგორც ცნობილია ასპინძის სკოლა ყველაზე დიდი საჯარო სკოლაა მუნიციპალიტეტში, თუმცა დღემდე იგი ვერ პასუხობდა საგანმანათლებლო სისტემის თანამედროვე მოთხოვნებს და დღის წესრიგში დადგა მისი სრული რეაბილიტაცია. მიუხედავად იმისა, რომ ეს სამუშაოები კოლოსალურ თანხას – 3 მილიონ 150-მდე ლარს მოითხოვდა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტის მერიის დიდი მცდელობის შედეგად პროექტის განხორციელება დაიწყო და მისი რეაბილიტაცია განსაზღვრულ ვადებში დამთავრდება. იგი საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისა და საქართველოს მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება, რომელსაც ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს ,,რებილდი'' აწარმოებს.

პროექტით გათვალისწინებულია საჯარო სკოლის საფუძვლიანი და სრული რეაბილიტაცია, – შიდა და გარე სივრცეების, სველი წერტილებისა და კომუნიკაციების მონყობა.

სკოლა ადაპტირებული იქნება ასევე შშმ პირთათვის.

ორგორაში ახალი სკოლის მშენებლობა დამთავრდა

ჩვენი გაზეთის მკითხველები კარგად არიან ინფორმირებულები იმის თაობაზე, რომ რამდენიმე წლის წინ ხანძარმა შთანთქა ორგორის საჯარო სკოლის შენობა და მის შემდეგ დიდი პრობლემების წინაშე დადგა აქაურ მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმე. მუნიციპალიტეტის მერიის, რესურსცენტრისა და ამავე სკოლის დირექციის აქტიურობის შედეგად მიღწეული იქნა სოფლისათვის საერთაშორისო სტანდარტების დონეზე ახალი სკოლის მშენებლობა და, შეიძლება ითქვას, იგი ერთ-ერთი საუკეთესო სკოლაა დღესდღეობით მუნიციპალიტეტში და სასიხარულოა, რომ მისი მშენებლობის დამთავრება ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მოესწრო.

იმედია კოვიდ-პანდემიის პირობებში, როგორც ქვეყნის მასშტაბით, აქაც განახლდება სასწავლო პროცესი და მოსწავლეებს საუკეთესო პირობებში მოუწევთ სწავლის გაგრძელება.

ორგორის ახლადაშენებული სკოლის შენობა ახლახან ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.

ახალი სკოლა 60 მოსწავლეზეა გათვლილი და მოემსახურება ორი სოფლის – საყუდაბლისა და ორგორის სკოლის მოსწავლეებს.

საგულისხმოა, რომ მშენებლობა სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა.

შეხვედრა მედალოსან კურსდამთავრებულებთან

ამ დღეებში ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი **როსტომ მაგრაქველიძე,** საკრებულოს თავჯდომარე **მამუკა მელიქიძე,** კულტურის სამსახურის უფროსი **ოთარ ცინაძე,** სსიპ ასპინძის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი **ტრისტან მურადაშვილი** მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 2020-2021 სასწავლო წლის მედალოსან მოსწავლეებს შეხვდნენ, კურსდამთავრებულებს მიულოცეს ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება, სტუდენტობა და საჩუქრად ფულადი ჯილდოები გადასცეს.

,,– თქვენ ხართ ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე და იმედს ვიტოვებ, თქვენს ცოდნასა და გამოცდილებას რეგიონის განვითარებას მოახმართ.

წარჩინებული ახალგაზრდების ხელშეწყობა მერიის ერთ-ერთი პრიორიტეტია, ჩვენ, ყოველთვის, თქვენს საჭიროებებზე მორგებულ პროგრამებს ვახორციელებდით და კვლავაც აქტიურად განვახორციელებთ, რომლითაც სარგებლობა ნებისმიერ თქვენგანს შეუძლია!" – მიმართა მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ ოქროსა და ვერცხლის მედალოსნებს.

შეხვედრაზე სკოლის წარჩინებული კურსდამთავრებულები ასპინძის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში დაჯილდოვდნენ ოქროს მედალოსნები 500-500 (ხუთას-ხუთასი) ლარით, ხოლო ვერცხლის მედალოსნები – 300-300 (სამას-სამასი) ლარით.

ასპინძის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 2020-2021 სასწავლო წლის ოქროსა და ვერცხლის მედალოსნებია:

ოქროს მედალოსნები:

1.თამუნა გაგაძე - დაბა ასპინძის საჯარო სკოლა;

2.თამთა გიორგაძე – დაბა ასპინძის საჯარო სკოლა;

3. მარიამ დევნოსაძე – დაბა ასპინძის საჯარო სკოლა;

4.ვახტანგ ველიჯანაშვილი – დაბა ასპინძის საჯარო სკოლა;

5.ჟანნა ბექირიანი – სოფელ დამალის საჯარო სკოლა;

6. მარიამ კოჩალიძე – სოფელ ივერიის საჯარო სკოლა;

7.ლინდა ლომიძე – სოფელ რუსთავის საჯარო სკოლა;

8. მარიამ სანდროშვილი – სოფელ რუსთავის საჯარო სკოლა;

9. თეონა შავაძე – სოფელ რუსთავის საჯარო სკოლა.

ვერცხლის მედალოსნები:

10. ლელა ინასარიძე – სოფელ ძველის საჯარო სკოლა;

11. მანანა ნათენაძე– სოფელ ძველის საჯარო სკოლა;

12. ნიკა ივანიძე – სოფელ ივერიის საჯარო სკოლა;

13. შორენა ქუქჩიშვილი – სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლა

ახალი მინი-სტადიონი ასპინძაში

დასრულდა დაბა ასპინძაში, ვარძიის ქუჩაზე მდებარე სპორტული ხელოვნურსაფარიანი მოედნის მშენებლობა.

ახლახან, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა მელიქიძემ ადგილობრივ თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად ახალი მინი-სტადიონი გახსნეს.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოეწყო კალათბურთის ფარები, ფეხბურთის კარები, განათება, მოედანი შეიღობა ლითონის კონსტრუქციით.

ახალი ინფრასტრუქტურული პროექტი ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას.

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია